№ 92

სამშაბათი, 3 მაისი 1894

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 92

სამშაბათი, 3 მაისი 1894

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ

**დანიშნულია 8 მაისს.**

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნ ი ვ თ ე ბ ი გაუგზავნოს **ქნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

### † ე. ნინოშვილი (ინგოროყვა)

სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დეპეშამ გურიიდან. იქ 30 აპრილს გარდაცვლილა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ახალგაზდა მწერალი ე. ნინოშვილი.

ეს რამდენიმე წელიწადია მხოლოდ, რაც ე. ნინოშვილი გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზედ და პირველ დღიდგანვე საზოგადო ყურადღება დაიმსახურა თავისის უტყუელის ბელლეტრისტულის ნიჭით. ნინოშვილის ნაწერში ერის მაჯა სცემდა, საერო მოტივი გაისმოდა, სამოთხრობო მასალას უფრო სოფლის ცხოვრებაში ეძებდა, უფრო ბეჩავის გლეხ-კაცისათვის სტკიოდა გული და იმის ჟამთა სიავის ავ-კარგიანობას ადევნებდა თვალ-ყურს. რამდენიმე მისი მოთხრობა, დაბეჭდილი როგორც „ივერიაში“ აგრეთვე ქართულ სხვა ჟურნალ-გაზეთებში, ... რა მოწამეა და საბუთი ამ უდროოდ დაკარგულის მწერალის ნიჭისა.

საბრალო ეგნატე ინგოროყვა იმ თავითვე ავადმყოფობდა გულით, ვგონებთ ჭლექი ჰქონდა, და არც არავითარი იმედი იყო იმის მორჩენისა. ამ ბოლო და ბოლოს დროს ხომ თანდათან ცუდად შეიქნა. ჯერ კიდევ 13 აპრილს გვწერდენ ჩოხატაურიდგან: „ე. ნინოშვილის ავადმყოფობას ამ ბოლოს დროს მეტად უიმედო ნიშნები დაეტყუვო... სისუტე თან-და-თან უძლიერდება. დრო გამოშვებით წამოვარდება ლოგინიდგან და ამაოდ სცდილობს დაწყებულის შრომის განგრძობას: აკანკალებულის ხელიდგან კალამი უსხლტება და გაშმაგებული თვალ-ცრემლიანი ლოგინადვე ეცემა. თან ქვითინით ამბობს: „ვკვდები, ვკვდები იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარ, როცა ჩემის მომავლის მოქმედების პროგრამმა უფრო ნათლად გამოვირკვიეო“.

განსვენებულს ამ წინასწარმეტყველების შემდეგ მხოლოდ ერთს კვირასლა უცოცხლია და, როგორც დეპეშამ გვაუწყა, 30 აპრილს დაულევია თვისი მრავალ-ტანჯული სული.

ნიჭიერის ადამიანის სიკვდილი იქაც-კი, სადაც მრავლად არიან, დიდად სამწუხარაა და საგლოველი, ხოლო ჩვენისთანა პაწია ერისათვის-კი, რომლის მოღვაწენი თითებზედ ჩამოითვლებიან, და სადაც „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა“, სადაც „მრავალნი არიან წვეულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“, საგრძნობელი უბედურებაა. განსვენებულს ვინ იცის რამდენი ნიჭითა და ხელოვნებით სავსე ნაწარმოები ეძლვნა თავისის სამშობლოსათვის, რომ დასცლოდა, რომ შესძლებოდა „გაკეთება“ და განხორციელება იმ პროგრამმისა, რომელიც უკვე „ნათლადა ჰქონდა გამორკვეული“.

თან წარიღო ყოველი თავისი კეთილი ძრახვა და სურვილი, ეხლა გულ-ხელ დაკრეფილი წევს კუბოში და 8 მაისს სამუდამოდ დაკრძალული იქნება გვამი მისი შავსა და გაუმაძღარ მიწაში.

დიდის მწუხარებით აღვნიშნავთ ახალგაზდა მწერლის გარდაცვალებას, რომლის სიკვდილით, სამშობლო ლიტერატურის ყანის შემმუშავებელთა რიცხს კიდევ ერთი გულწრფელი, გულ-მხურვალე, თავ-გამოდებული მუშაკი გამოაკლდა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ტანჯულო ეგნატე!..

მ—ლიძე

### შემოწირულებანი

#### I

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ლატარია-ალეგრისათვის კიდევ შემოსწირეს:

მცხეთის დედათ მონასტრის სასწავლებლისაგან—დიდის ხელოვნებით ნაკერი ბალიში და კედელზედ ჩამოსაკიდი წერილების გიდელა.

სარაჯმა იასე ყაფლანის ძემ ხუნდაძემ—ქალის ქამარი და მათრახი.

ნინო ივანეს ასულმა მგელაძისამ—სასუხრე და სასპიჩკე.

„პურ-ღვინის“ პატრონთ თოიძემ და მამინაიშვილმა—თითო მანეთიანის სადილის ბარათი.

თონეთის სკოლისაგან—12 ნაჭერი სხვადა-სხვა ხელსაქნარი.

#### II

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირეს.

1, სოფიომ, სოლომან სულხანოვის ასულმა კაფაფოვის მეუღლემ—ხელთ ნაწერები. ა, რუსუდანიანი, ბ, იოანე ოქროპირის განმარტება მამაო ჩვენოსი; გ, მოკლე აზრი ყოველთა სწავლათათვის სახმარად ყრმათა საქართველოისათა და დ, საალსარებო კითხვები.

2, ა. მალალაშვილმა—ხელთნაწერი ზატიკი.

და 3, თიონეთის მომრიგებელმა მოსამართლემ ალექსანდრე სვიმონის ძემ გამრეკელმა—სამოცი ნაჭერი ქართული და უცხო ძველი ფული, მედალი და ჟეტონი, რომელთაგან ერთი ვერცხლისაა, დანარჩენები სპილენძისა.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## ახალი ამბავი

*** შაბათს, 30 აპრილს, ვერაზედ „კახეთის“ ბაღში მისმა პატივის მცემლებმა სადილი გაუმართეს სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორს

## ფელეტონი

### ავაზაკი ქმარი

(მოთხრობა ემილია პარდო-ბასანისა)

მარტის სუსხიანი დღე იდგა. მარინედის ქალაქის სამრეცხელოში დედაკაცებს ნამეტანის სიცივისაგან ნაცრის ფერი ედოთ. მაგრამ ყველაზედ უფრო საცოდავი შესახედავი იყო მრეცხელი ანტონია. სარეცხი ხელიდგან უვარდებოდა და დაწითლებულ თვალებიდგან ცრემლებს იხოცდა. ამხანაგები სიბრალულით შეჰყურებდნენ; ხშირად იმის ამბავს ერთი მეორეს ჩასჩურჩულებდნენ ყურში, და მაშინ აქა-იქ შეიქნებოდა: „უი იმის დედას, ვაი, მაგის ბრალიო“-ს ძახილი.

მთელმა სამრეცხელომ იცოდა ამ უბედურის ქალის თავგადასავალი და მეზობელ ქალებს ამის მეტი სალაყბო აღარა ჰქონდათ-რა.

ჯერ კიდევ ახალგაზდა ქალი იყო ანტონია, როდესაც ის ერთს ყასაბს მისთხოვდა და ქალაქის განაპირას დაესახლა. აქ ანტონია თავის პატიოსანის შრომითა და ჯაფით მთელ ოჯახს ჰკვებავდა. მას ხელს უწყობდა აგრეთვე თავისი დედა, რომელიც ძველს ტანისამოსს ყიდულობდა და ჰყიდდა. ამ ხელობით მან ცოტაოდენი ფული იშოვნა და ასარგებლებდა ხოლმე. ყველას ახსოვს ის უბედური საღამო, როდესაც დედაბერი თავ-გატეხილი იპოვნეს თავის საწოლ ოთახში და ზანდუკი, რომელშიაც ფულსა და ოქრო-ვერცხლს ინახავდა, თავ-ქვე დამხობილი. მაგრამ მეზობლების აღელვებასა და ბრაზს საზღვარი აღარა ჰქონდათ, როდესაც გაიგეს, რომ ამის მომქმედი თითონ ანტონიას ქმარი იყო. ანტონიამ თვით აღიარა მთავრობასთან ეს სამწუხარო ამბავი და თან დასძინა, რომ კაი ხანია, რაც ჩემი ქმარი შურის თვალით შეჰყურებდა დედიჩემის ქონებასაო.

მართალია, ორის-სამის მედუქნის შემწეობით ყასაბმა დაამტკიცა, რომ იმ ღამეს ვითომ სახლში არ ვიყავიო, და ამისთვის კანონმა ჩამორჩობის მაგივრად ოცის წლით კატორგა გადუწყვიტა, მაგრამ ხალხი მაინც არა სჯერდებოდა ამ დასჯას და ხმა-მაღლა თხოულობდა მის ჩამორჩობას, რადგანაც დარწმუნებული იყო რომ მკვლელი ის არის და არა სხვაო. გარდა ანტონიის მოწმობისა ყასაბის დანაშაულობა იმითიცა მტკიცდებოდა, რომ დედაბერს თავი სწორეთ ისე ჰქონდა გაჩეხილი, როგორც ღორებს გაუჩეხენ ხოლმე თავს ყასბები—ზევიდგან—ქვემოდ და იმავე განიერისა და მჭრელის დანით, რომელსაც ისინი ჰხმარობენ. მარინედლებისთვის რომ გეკითხათ, ერთს წამსაც არ დაჰფიქრდებოდნენ, რომ მკვლელი ანტონიას ქმარია და, მაშასადამე, უნდა ჩამოირჩოსო. მაგრამ ეხლა, როდესაც ჩამორჩობის მაგივრად კატორგა გადაუწყვიტეს, ყველას ელდა ეცა და შიში ჩაუვარდა გულში. ხმა გავრცელდა, ვითომ ქმარს ეთქვას ცოლისათვის: რადგან ჩემს წინააღმდეგ აჩვენე გამომძიებელს, ცოცხალს არ გადაგარჩენო. ყველას ეშინოდა, რომ, რა წამს განთავისუფლდება, ცოლს მოჰკლავსო. როდესაც ქმარი წაიყვანეს, ანტონია ორსულად დარჩა. გამოთხოვების დროს პირდაპირ უთხრა ცოლს, რომ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო. ანტონიას შვილი ეყოლა. ათასის დარდისა და ვარამისაგან და თან ავადმყოფობით ანტონია ისე დაიქანცა, რომ ყმაწვილის ძუძუს წოვებაც-კი ვერ შესძლო. ხან ერთი დედაკაცი წაიყვანდა ახალ დაბადებულს სარჩენად ხან მეორე. დედის სისუტე ყმაწვილსაც დაეტყო, უფერული და უღონო იზრდებოდა.

რაკი ცოტა გამორჩა, ანტონია იმ წამს მუშაობას დაადგა. არც დღე და არც ღამე მოსვენება არა ჰქონდა, რომ ლუკმა-პური არ მოჰკლებოდა. ცოტა ფერი ჩაეკრთო; ხანდახან პირის კანი ისე გაუმწვანდებოდა, როგორც გულის ფრიალით ავადმყოფებს მოსდით ხოლმე.

— ოცის წლის კატორგა! განა ხუმრობაა ოცი წელიწადი? რამდენი რამ მოხდება ამ ხნის გამნმავლობაში! ჰფიქრობდა ანტონია თავის თავად: შეიძლება მანამდის კიდეც მოკვდეს; შეიძლება მე უფრო ადრე მომესპოს დღე. იჰ, რამდენი წყალი ჩაირბენს მანამდის.

ანტონიას სიკვდილისა არ ეშინოდა, თუ კი სიკვდილი თავის-თავად მოვიდოდა, მაგრამ როდესაც გაივლებდა გულში, რომ შეიძლება ჩემი ქმარი დაბრუნდესო, რაღაც უცნაური შიში შეიპყრობდა მთელს მისს არსებას. ამაოდ ანუგეშებდნენ გულკეთილი მეზობლის ქალები; ამაოდ არწმუნებდნენ, რომ ამდენის ხნის განმავლობაში შეიძლება ის კიდეც გასწორდეს, გამოიცვალოს ხასიათიო. ანტონიას არაფერი სჯეროდა. „ხასიათი გამოიცვალოსო!.. ჰო, თუ თითონ ღმერთი ჩამობრძანდება ციდგან და ამოგლეჯავს იმ მხეცურს გულს, შეიძლება“!.. როგორც-კი ამ ბოროტის კაცის შესახებ დაიწყებდა ლაპარაკს, საცოდავი დედაკაცი ვერხვის ფურცელსავით ათრთოლდებოდა.

ოცი წელიწადი, რაც უნდა სთქვათ, დიდი ხანაა კაცის ცხოვრებაში და დრო-კი, როგორც მოგეხსენებათ, მკურნალია ყოველივე მწუხარებისა და დარდისა. ანტონიას ხან-და-ხან ისე ეჩვენებოდა, თითქოს, ყველაფერი ეს სიზმარი არისო, ხან იმას წარმოიდგენდა, რომ მკვლელისათვის საპყრობილეს კარები სამუდამოდ დაკეტილია და ბოლოს-კი ასეთს ფიქრს დაადგებოდა: „თუ კანონმა დანაშაულობის დასჯა შესძლო, ნუ თუ იმას ველარ შესძლებს, რომ ავაზაკს მეორედ აღარ ჩაადენიოს იგივე დანაშაულიო?“ კანონი! ეს დიდი ზნეობითი ძალაა, რომელზედაც ანტონიას რაღაც გამოურკვეველი წარმოდგენა ჰქონდა. იმის აზრით, საშიშარიც არის კანონი, მაგრამ ამავე დროს მადლიანი და სამართლიანია: შეუძლიან კაცი დაღუპას გადაარჩინოს. დრო თანდათან მიდიოდა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მანძილი რჩებოდა წინ. ანტონიას აუარებელ დარდსა და შიშს შორის გამოურკვეველი იმედიც დაებადა.

რა უკუღმართად მოეწყობა ხოლმე ხანდახან კაცს საქმე! აბა ვინ წარმოიდგენდა, როდესაც ახალგაზდა ხელმწიფე თავის ახალგაზდა საცოლოთი წარმდგარნი იყვნენ ეკლესიის წინაშე ჯვარის დასაწერად, რომ ეს დიდებული დღესასწაული გაანადგურებდა, თავზედ მეხს დასცემდა რომელსამე ყრუ და მივარდნილს ქალაქში მცხოვრებს ღარიბ მუშა დედაკაცს?

როდესაც ანტონიამ გაიგო, რომ ხელმწიფემ თავის ჯვარის წერის გამო ბევრს პატიმარს შეუმსუბუქა სასჯელი და სხვათა შორის ჩემს ქმარსაცაო, ხმა არ ამოუღია. მეზობლის ქალებმა თავის სახლის კარის დირე-

ალექსი ბესარიონის ძეს ჭიჭინაძეს, რომელიც რვა წლის განმავლობაში ინსპექტორი იყო ამ სასწავლებლისა და ეხლა თერგის ოლქის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორად იქმნა დანიშნული. სადილს სამოცამდე ქალი და კაცი დაესწრო. სადილმა დიდად მხიარულად ჩაიარა და საღამომდე გასტანა. სადილის დროს ბევრი სიტყვა იყო წარმოთქმული, რომელშიაც აღნიშნულ იქმნა ბ-ნის ჭიჭინაძის მამობრივი მზრუნველობა სასწავლებლის მოწაფეთა მიმართ და მისი გულ-მოდგინეობა სწავლა-განათლების საქმისათვის.

*** კვირას, 1 მაისს, შესდგა წლიური კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა. კრება შეუდგა საქმეთა განხილვას, მაგრამ ვერ დაამთავრა და შემდეგის კრებისათვის გადასდო. საერთო ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ.

*** ამ დღეებში რკინის გზათა დეპარტამენტიდგან ყველა რკინის გზის გამგეობას მისვლია განკარგულება იმის შესახებ, რომ თუ სასამართლოს უწყების რომელიმე მოხელემ ითხოვოს რკინის გზის ბილეთი რომელ მატარებელზედაც უნდა იყოს სულ-ერთია, საქონლისა სამსახურისა, საგანგებო თუ მუშებისა, იმ სადგურამდინაც-კი სადაც მატარებელი არ ჩერდება, ბილეთი დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს და მატარებელიც უეჭველად უნდა გაჩერდეს იმ სადგურთან.

*** ქუთაისიდამ გვაუწყებენ დეპეშით, რომ დღეს, დილის 10 საათზედ, ვოკზალზედ, შევიდა ქალების ოთახში საფილოქსერო დასის მოხელე ვლადისლავ იოსების ძე ჟმუნდზინოვიჩი და იმავე წამსვე დაეძინა. მისი გაღვიძება შეუძლებელი შეიქნა. ორი მკურნალი მოიწვიეს—ნაზაროვი და სეგალი და ორივემ სთქვა, რომ ჟმუნდზინოვიჩი ბანგით არის მოწამლულიო. მკურნალებმა ვერა უშველეს-რა თუმცა საღამოს 9 საათამდინ ყოველი ღონისძიება მიიღეს. 9 საათზედ გარდაიცვალა.

*** მარქარ პაპოვმა, რომელიც ამ ხანებში გარდაიცვალა დონის ნახიჩევანში, როგორც გაზ. „არძაგანქი“ ამბობს, დასტოვა 8 მილიონზედ მეტი შეძლება. აქედამ 150,000 მ. საქველმოქმედო საქმეს შესწირა: 100 ათასი მან. ნახიჩევანის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელს და 50 ათასი მან. ეჩმიაძინის მონასტერს.-დანარჩენი სიმდიდრე დაუტოვა თავის მცირე წლოვან ვაჟიშვილს.

*** ს. დიღომი 30 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზედ საშინელი სეტყვა მოვიდა და თითქმის მთელი დიღომი დასეტყვა. სეტყვამ გააფუჭა ბაღები და ვენახები ზემო უბნისა და აგრეთვე ქვემოსი მუხრან-ბატონის სასახლემდე; იმის ქვემოდ-კი აღარა დასეტყვილა-რა. თვით მუხრან ბატონის სამი ზვარი დაისეტყვა, დანარჩენები გადარჩა. თეთრ-დუქნთან სეტყვა სულ არა ყოფილა. დიღმის ხევი საშინლად ადიდდა, ხევ გაღმა მწყემსებს საქონელი ჰყოლოდათ და წამოსულიყო თუ არა ღრუბელი და წვიმა, მწყემსს სოფლისკენ გამოერეკნა საქონელი, მაგრამ უცბად დაუშინა სეტყვამ, ხევი ადიდდა, და, რაც საქონელი შევიდა შიგ, სოფელში გამოსასვლელად, სულ წაიღო და მტკვარში ჩაიტანა. 40, სულამდე საქონელი დაარჩო ამ ნაირად. ნათესები სულ გაათხრა და წალეკა. ბევრნი ტიროდნენ მშვენიერად შემუშავებულს ვენახებს რომ უყურებდნენ საშინლად დასეტყვილებს და საქონელს დახოცილს.

*** კახეთი: 27-ს აპრილს თელავის სამაზრო სამმართველოს ეზოში მოხდა კრება თელავ-თიანეთის მაზრის მირაბის ამოსარჩევად. კრებას 870 კაცი დაესწრო: თავად-აზნაურობა თელავის მაზრისა და მთელის თელავის მაზრის და თიანეთის მაზრის ქვემო ნაწილის გლეხობის წარმომადგენელები (ათ კომლზე ერთი კაცი). კრებაზედ დიდი ამბავი და დას-დასობა იყო. კრებამ მირაბად ხმის უმეტესობით (530 ხმით) აირჩია თ. ს. რ-ძე ვახვახიშვილი. მირაბს გარდა სხვა ამ საქმისათვის საჭირო მოხელენიც იქმნენ არჩეულნი.

*** კავთის-ხევი (ქართლი): ტფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლემ შ. ცხვედაძემ შეადგინა მგალობელთა გუნდი კავთისხევის სკოლის მოწაფეთაგან და შეასწავლა მთელის წირვის გალობა. ეხლა ეს მგალობელთა გუნდი ყოველ კვირა-უქმეობით ჰგალობს აქაურს ეკკლესიებში თვით ცხვედაძისავე ლოტბარობით და მშვენიერის გალობით იზიდავს ეკკლესიებში მრავალს მსმენელს. მადლობისა და ქების ღირსია შ. ცხვედაძე, მით უმეტეს, რომ აპირობს წინარეხის სკოლის მოსწავლეთაც შეასწავლოს მთელი წირვის გალობა. კარგი იქნება, ქართული გალობის მცოდნეთ მიჰბაძონ ბ-ნს ცხვედაძეს და ჩვენს დაბა-სოფლებში გაავრცელონ ქართული საეკკლესიო გალობა.

*** წინარეხი. (ქართლი): დიდი ხანია ჩვენს სოფელში, სხვადა-სხვა ავადმყოფობის გარდა, წითელაც მძვინვარებს. წითელა აქ დიდს ზარალს აძლევს ყმაწვილებს. კავთისხევსა და თელათ-გორშიაც ძალიან გავრცელებულია ეს მოარული.

*** გაზ. „მწყემსი“ სწერს: „1888 წლიდგან ტფილისში გამოდის გაზეთი „მეურნე“. ეს გაზეთი დღემდე სხვა და-სხვა მიზეზისა გამო ჯეროვნად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. დღეს ამ გაზეთში ბ-ნი ილია ჭყონიას მეთაურობით მონაწილეობას იღებენ: აგრონომები, ტეხნიკოსი, ექიმები და მეფუტკრეობის მცოდნენი. ბ-ნი ი. მ. ჭყონია სცდილობს, რომ ამ გაზეთის ბეჭდვა გადმოიტანოს ქ. ქუთაისში და ამის შესახებ მას თხოვნაც მიუცია უ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის. იმედია, ბ-ნი ჭყონია ამ ნებართვას მიიღებს და ამით შეძლება მიეცემა მომეტებული ყურადღება მიაქციოს ამ გაზეთის შინაარსის განკარგებას.

—

### შეცდომის გასწორება

—

მე-88 №-ის ახალ ამბავში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, რომ ავაზაკი აღმოჩნდა „სამსონიაო“, უნდა იყოს „სამსონიძე“.

## დამაკვირდი

—

მხდალი ბუნების ადამიანი ცხოვრებას მწვერვალზედ ვერასოდეს ვერ ავა.

სირუსი

**

რაკი მგელი ფარეხში შევა, შემდეგ იმისი იქიდგან გამოდევნა ძნელი-ღაა.

არაბ.

**

მადლი ისევე დაგემებს შენ, როგორც შენ იმას.

ალი

## კორესპონდენცია

—

**დუშეთი:** გუშინ, 25 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზედ, დუშეთში მოხდა ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი: ერთმა ვილაცა თათარმა მოჰკლა ბაზალეთელი გლეხი შალვა ტილაშვილი. შალვა თვისის მშვიდის და წყნარის ხასიათით შესანიშნავი იყო მთელს მაზრაში; ამასთანავე მკურნალობდა კიდეც. მთელს მაზრაში, სადაც-კი, მოიტეხდა ვინმე რასმეს ან იღრძობდა, გარბოდნენ მაშინვე ბაზალეთს შალვასთან, რომელიც ყოვლის უარის უთქმელად სასწრაფოდ მიეშურებოდა ავადმყოფთანა და ჰხმარობდა ყოველსავე ღონისძიებას, რათა შემთხვევით უბედურობაში ჩავარდნილი კაცი დაეხსნა. შალვა არ იყო ვერცხლის მოყვარე, ვინც რასაც მიაწვდიდა, დიდის მადლობით მიიღებდა; ხელ-მოკლე მოძმეთა ხშირად უსასყიდლოდაც არჩენდა თავისავე ხარჯითა. ამიტომ, გაიგეს თუ არა შალვას ესეთი მოულოდნელი უბედურება, მაშინვე ყველა გაექანა საქართველოს სამხედრო გზისკენ, დუქანთან, ფოსტის სადგურ ქვემოდ, ხიდთან, სადაც საცოდავი შალვა უსულოდ იდო და უბეები და ჯიბეები მთლად სავსე ჰქონდა წამლებითა: ქაღალდში შეხვეული მალამოები და მინებით თხელი წამლები. ხალხში ისმოდა გულ-საკლავი მწარე ქვითინი; ყველა გულში ხელს იცემდა და ამბობდა: «ვაი შენს დამკარგველსა, რაღა გვეშველება საცოდავებსაო. „შალვას ცოლშვილი დარჩა სრულიად უპატრონოდ და უმწეოდ.

ეს კაცის კვლა სულ მოულოდნელად და უეცრად მომხდარა დუქნის წინა, ასე რომ შველა ვეღარ მოუხერხებიათ იქ მყოფთა. თათარი მახლობელს ბაღში მუშაობდაო და შალვაც დუშეთისაკენ მოდენილა რაღაც საქმისათვის, იქნება ავადმყოფთანაც მიდიოდა სადმე საწყალი; ამ დუქანთან შეყრილან ერთად ♂ ორიოდე სიტყვის შემდეგ თათარს ხანჯალი დაუცია მუცელში. რასაკვირველია გამოძიება აღმოაჩენს, თუ რა შურის ძიება ჰქონიათ ამათ ერთმანერთში. თათარი მაშინვე გაიქცა, თუმცა ჩაფრები უკან დაედევნენ, მაგრამ დღემდის ვერ დაუჭერიათ.

—

**ყარალაჯი.** (ქართლი): 23 აპრილს დიდი უბედურება დატრიალდა ყარალაჯში. ცოტა ხნის ჭექაქუხილის შემდეგ უცებ დაუშინა წვნგოიან კაკალზედ კიდევ მსხვილმა სეტყვამ და სულ გაანადგურა მთელი

---

სთან ჩაკეცილი, გულსხელ-დაკრეფილი და თავ-ჩაკიდული ჰიახეს. იქვე გვერდით უჯდა თავისი შვილი, რომელიც გაყვითლებულის თვალებით შეჰყუეოდა დედას და საცოდავის ხმით ქყოდა: «დედა, წვენი გამითბე; დედა, საჭმელი მაჭამე!..

მთელი გროვა გულ-კეთილ დედაკაცებისა თავს ეხვეოდა ანტონიას, ზოგი ყმაწვილს ეფეროებოდა და საჭმელს აწვდიდა, ზოგი ანუგეშებდა.

— რად იკლავ თავს, შე უბედურო, ღმერთი მოწყალეა. ახლა რა გგონია, დღესვე მოვა და თავს მოგჭრის თუ? მერე, მთავრობა რას აკეთებს? მადლობა ღმერთს, კანონია ქვეყანაზედ, პოლიციას შევატყობინებთ, სამართალს მივმართავთ».

— ეჰ, საყვარელო დებო, რა პოლიცია, რის სამართალი... დასუსტებულის ხმით ამბობდა ანტონია.

— თუ არა—და, გუბერნატორს მივმართავთ; უთუოდ უნდა ვნახოთ რომელიმე ვექილი, დავეკითხოთ, რა სწერია კანონში.

ერთი ქალი შეჰპირდა, ჩემს ქმარს გამოგიგზავნი, პოლიციაში მსახურებს და იმისი შეეშინდება შენს ავაზაკს ქმარსაო. მეორემ,—ყოველ ღამე დარაჯობა აღუთქვა. ერთის სიტყვით, დედაკაცებმა იმდენი ანუგეშეს ანტონია, იმდენი თანაგრძნობა აღუთქვეს, რომ, ცოტა არ იყოს, იმედი მიეცა და გადასწყვიტა ვექილთან წასულიყო ამბის გასაგებად. როდესაც ანტონია ვექილიდგან დაბრუნებული სახლში მიდიოდა, ყოველ მხრიდგან გამოეგებნენ დედაკაცები და ეკითხებოდნენ, რა გითხრაო.

— კანონიც ჩემი წინააღმდეგი ყოფილაო, უპასუხა გულ-გახეთქილმა და თვალ-ცრემლიანმა ანტონიამ. ვექილმა სთქვა, რომ კანონით ვალდებული ხარ დედის შენის მკვლელთან ერთს ჭერ-ქვეშ იცხოვროო!

— ღმერთო დიდებულო, აი კანონი! რა ხალხმა გამოიგონა ამისთანა უცნაური კანონი? აბა თითონ ჩავარდნენ ასეთს მდგომარეობაში და მაშინ ვნახავთ, რა სულგრძელობას გამოიჩენენ, ყვიროდა მთელი გროვა დედაკაცებისა: ნუ თუ, მართლა, არავითარი საშუალება არ მოიპოვება, რომ ამ უბედურებას თავი დააღწიოს კაცმა?

— როგორ არა, საშუალება-კი არის, შეიძლება სულ ერთიახად გაიყრნეთ ცოლ-ქმარნიო, მხოლოდ სასამართლოში უნდა შეიტანო ქაღალდიო.

დედაკაცებმა თავში ხელი შემოირტყეს.

— ვიცით, რაც არის სასამართლოში საქმის დაწყება. დაიწყება, მაგრამ როდის დასრულდება? და თუ დასრულდება, ისევ შენ, ღარიბსა და გაჭირვებულს, გაგამტყუნებენ!?

— ეს კიდევ რა, წამოიბუტბუტა ანტონიამ, საჭიროა დაამტკიცო, რომ შენი ქმარი ცუდად გეპყრობაო.

— ეს-ღა გვაკლდა! ერთ ხმად დაიძახეს ქალებმა: დედა მოგიკლა და მეტი ცუდი მოპყრობა კიდევ შეიძლება? ვგონებთ, ესეც კმარა. გარდა ამისა, მთელმა ქალაქმა იცის, რომ სიკვდილს დაგემუქრა.

— მერე ვინ გაიგონა, ვინ არის მოწმე მაგ დამუქრებისა? უეჭვო საბუთებია საჭიროო.

ქალებმა ნამეტანის სიბრაზით თავი ვეღარ შეიკავეს „ხელმწიფესთან წავალთ, ქაღალდს მივართმევთ, რომ თავისი ბრძანება პატიმრების შეწყნარებისა გააუქმოსო“, ჰყვიროდენ.

ამის შემდეგ ანტონიას ყოველ დღე სდარაჯობდნენ ხან ერთი, ხან მეორე. ამ დროს ხმა გავრცელდა, რომ ხელმწიფემ სულ კი არ განათავისუფლა პატიმრები, არამედ შეუმოკლა ციხეში ყოფნის ვადაო. მაშასადამე, მკვლელს კიდევ რამდენიმე წელიწადი უნდა ეტარებინა ფეხებზედ ბორკილი. მხოლოდ ამ ამბის შემდეგ მოისვენა ანტონიამ ცოტაოდნად: აღარ წამოვარდებოდა გიჟსავით ლოგინში და არა ჰყვიროდა: „მიშველეთ, მიშველეთო!..“

ამ დავიდარაბის შემდეგ განვლო ერთმა წელმა. ანტონია თითქმის სრულიად დამშვიდდა: ყოველ დღიურ ჯაფაში სრულიად გადაავიწყდა თავისი ვარამი. მაგრამ ერთმა იმ სახლის მოსამსახურეთაგანმა, სადაც ანტონია დღიურად ჰმუშაობდა, უამბო, რომ ხელმწიფის ცოლი მალე ლოგინად დაწვება და იმის მშვიდობით გადარჩენის სახსოვროდ ხელმწიფე სულ უპირებს პატიმრებს განთავისუფლებასო. ამ მოსამსახურეს ეგონა, ანტონიას გაუხარდება ეს ამბავიო. ის კი არ იცოდა, რომ, პირ-იქით, გულს მოუკლავდა. გაიგონა რა ეს ამბავი, ანტონიამ სარეცხს თავი დაანება, აკრეფილი კაბის კალთები ჩამოუშვა და ხმა ამოუღებლივ წავიდა. წავიდა, მაგრამ თითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. ღონე მიხდილი და გაფითრებული ფეხზედ მოსიარულე მკვდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს. რაღაც უცნაურმა შიშმა შეიპყრო მთელი მისი არსება. ნაცნობ დედაკაცების მისალმებაზედ ძლივს ამოიკრინტავდა ხოლმე, ავად ვარო, თუმცა ავად სულაც არ იყო.

ზარბაზნების სროლამ აუწყა მარინედის მცხოვრებლებს დედოფლის მშვიდობით მოლოგინება. ანტონიას კი ასე ეგონა, რომ ზარბაზანს მე მესვრიან და გულში მხვდებაო. ვიღაცამ სთქვა: ახალი დაბადებული ქალია და არა ვაჟიო. ანტონიას ცოტაოდენი იმედი მიეცა, რადგანაც ქალია, შეიძლება ხელმწიფემ დიდი წყალობა არ გაიმეტოს, სულ არ განათავისუფლოს პატიმრებიო. და თუნდაც ყველა შეიწყნაროს, ჩემი ქმარი რა შესაწყნარებელია? ერთხელ ხომ შეუმცირეს სასჯელი, ახლა ხელ-მეორედ უნდა შეუმცირონ, და მერე ვის? ულმობელს კაცის-მკვლელს, ერთი საწყალი, უღონო, უძლური დედაბრის მკვლელს სულ რამდენისამე ოქროს გამო. ცხადად წარმოუდგა თვალის წინ საზიზღარი სურათი მკვლელობისა: „ნუ თუ მართლა აპატივებენ ამ მხეცს ამ საზიზღარს დანაშაულს?“ ანტონიას თვალებში ელანდებოდა ჭრილობა დედისა და აუარებელი სისხლი. შეიკეტა სახლში და დიდხანს იჯდა ერთ ადგილას გაშტერებული და გაფითრებული. „თუ რომ მართლა იმისი წერა ვარ, ის არა სჯობია, ჩემის ხელით მოვიკლა თავი!“ ამ მწარე ფიქრებიდგან ყმაწვილის ტირილმა გამოარკვია: „დედი, დედილო, მშია, პური მინდა. დედა, ის ვინ არის, კარებს უკან რომ დგას? აქ აპირობს შემოსვლას...“

ერთს დილას ანტონიამ წამოავლო სარეცხს ხელი და წავიდა სამრეცხელოში.

დედაკაცები ალერსიანად მიესალმნენ, მაგრამ ის ძლივს იღებდა ხმას; ისე იცქირებოდა თითქოს ჭკუათამყოფელი არ იყოსო. როდესაც ანტონიამ რეცხა გაათავა და სახლში წასვლა დააპირა ვიღაცამ (ვინ იცის, განგებ, თუ მართლა) ხმა გაავრცელა, რომ ყასაბი მომკვდარაო.

სოფლის (140 კომლი) ჭირნახული და ხეხილი. თითქმის ერთის გოჯის სისქე ტოტებს ამტვრევდა და აბა ყვავილს და ფოთლებს რაღას შეარჩენდა. სეტყვა ისეთს სიმაღლეზედ დადო, რომ ბანებიდგან არნადებით ჰხვეტდნენ. ამბობენ, რაც უნდა თბილი დღეები დაიჭიროს, კიდევ სამ დღემდის ვერ დადნებაო. სეტყვას თან მოჰყვა საშინელი დიდი ნიაღვარი, რომელმაც სეტყვაზედ ნაკლები ზარალი არ მისცა მცხოვრებლებს. ნიაღვარმა თითქმის მთელი ერთი ბარის პირად გადარეცხა ჭინახული ისე, რომ ჩვენს მინდვრებში სრულებით აღარ ეტყობა თესებულა რამე წლევანდელს წელს თუ არა. ნიაღვარმა სახლებსაც დიდი ზარალი მისცა. ექვსის კომლის სახლ კარი ერთბაშად ამოავსო წყლითა და ქვიშით. ნიაღვარი ისე უცებ შეუვარდათ სახლებში, რომ ზოგმა გარედ გამოსვლაც ვერ მოასწრო და უეჭველად შიგ ამოიჩრჩობოდნენ, რომ მეზობლები დროზედ არ მიჰშველებოდნენ და ბანებიდგან არ ამოეყვანათ ცოცხალ-მკვდრები. ნიაღვარისაგან სახლში დაირჩა მხოლოდ ერთი ხუთის წლის ყმაწვილი—ვაჟი სარქისა ქვრივიშვილისა. ამ უკანასკნელის ცოლი კასტილზედ (ბანის ბოძზედ) მოსჭიდებოდა და იქიდგან ბანზედ ამოეყვანათ. ბევრს მთელის წლის საზრდოსაბადებელი გაუფუჭდა და ისე ულუკმა-პუროდ, უნუგეშოდ დარჩა. ამ საშინელის სეტყვისა და ნიაღვრის დროს საქონელი ისე საზარლად ბღაოდა, რომ იმათი ცოდვით უფრო იტანჯებოდა ხალხი. საქონლიდგან მხოლოდ ერთი ძროხა და სამი თხა დაირჩა. ასთივე სეტყვა სასირეთშიაც იყო და იქაც დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს. სეტყვამ გადაიარა მეტეხსა და გომზედ, მაგრამ იქ ისე ვერ ავნო ხეხილსა და ჭინახულს, როგორც ყარაღაჯსა და სასირეთში. ამბობენ, ამ დღეს ე. ი. 23 აპრილს სხვა სოფლებიც ბევრი დაისეტყვაო.

—

**სოფ. ბანოჯა** (იმერეთი) 14 აპრილს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა თავში და ყურში ა. ზვიადაძე, რომელიც დღეს ტფილისშია საქიმოდ. იმავე ძაღლმა საქონელიც დაჰკბინა და მერე-კი მოჰკლეს.

ჩვენი სოფელი საკმაოდ დიდია, ორას კომლამდეა მცხოვრებთა რიცხვი, სულ გლეხ-კაცობა. ქუთაისიდამ ოთხის ვერსის მანძილზედაა, მაგრამ სწავლა და წიგნი ჩვენთვის არ არსებობს. წინანდელ მღვდლის დროსკი იყო სკოლა და ახლა არა არსებობს-რა. ათს კომლში ერთს კაცს ძლივს შეხვდებით, რომ წერა-კითხვა იცოდეს. სხვა მახლობელ სოფლებიდამ ბევრნი დადიან ქუთაისის სხვადა-სხვა სასწავლებლებში სასწავლებლად და ჩვენის სოფლიდამ-კი არც ერთი ყმაწვილი არ სწავლობს ქუთაისში. მხოლოდ ერთმა აქაურმა ახალგაზდამ დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი ქუთაისში, მერე სემინარია ტფილისში და ახლა კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობს.

## რუსეთი

—

აი რას ამბობს ერთი რუსული გაზეთი რუსეთში საჯარო ლექციების საჭიროების შესახებ:

საჯაროდ კითხვა ლექციებისა რუსეთში გამოიწვია შემდეგმა აუცილებელმა საჭიროებამ: წყვდიადი უვიცობისა საშინარ ღრუბლივით დასტრიალებს თავზე ხალხს. 1890—1891 წ. სასტატისტიკო ცნობათაგან სჩანს, რომ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი რუსეთში სულ 7 პროცენტი ძლივს არის მთელის მცხოვრებლებისა. ბავშვთა საერთო რიცხვიდგან-კი მხოლოდ 25 პროცენტი სწავლობს! როგორც ჰხედავთ, ჯერ განათლების სხივი არ მიჰკარებია რუსეთის მცხოვრებელთა მრავალს მილიონებს. თვით გაუნათლებელ ოსმალეთის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც-კი 7 პროცენტით აღემატება რუსეთისას. ამ გაუნათლებლობის მიზეზია ის, რომ რუსეთის ნიადაგზე აღმოცენდა: 1) მწვალებლობა და სარწმუნოების მხრივ ერის დანაწილება; ამ დანაწილებამ მოსტაცა მართმადიდებელს ეკკლესიას 11 მილიონამდე სული 2) გულგრილობა სარწმუნოებისადმი, რომელიც ცხადად მტკიცდება ხალხის მიერ ეკკლესიაში სიარულის შეძულებისა და უცოდინარობის ქრისტიანობის სარწმუნოების ჭეშმარიტების და საზნეო წესებისა; ხალხს არ შეუძლიან საჭირო ლოცვები შეუცდომელად წაიკითხოს, წაკითხვა-კი არა, უმეტესობამ სრულიადაც არ იცის ლოცვები; 3) ხალხის სიბრიყვე, უვიცობა რომლებმაც გამოიწვია 1892 წლის ხოლერიანობის ცნობილი უწესოებანი; 4) უსაქმობა და მისი განუშორებელი შედეგი ლოთობა, დღესასწაულებში ხალხი მის ნაცვლად, რომ წირვის შემდეგ მიეცეს კეთილშობილურს გასართობს, წაიკითხოს და შეიგნოს რამე, თავის დამღუპველ სამიკიტნოში მიდის, ხოლო რა ხილია ეს სამიკიტნო რუსეთში ყველამ კარგად უწყის.

## უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** როგორც გაზეთი Gaseta Narodowa და Nowa Reforma გვაუწყებს, დეპუტატმა კაპიცინსკიმ პოლშელების საპარლამენტო კლუბის საბჭოს აუწყა, რომ წინააღმდეგ კონსტიტუციისა პოლშელები სილეზიაში სრულიად მოკლებულნი არიან ეროვნულს განვითარებასაო; გერმანელთა უმრავლესობა ამ პროვანციაში ხელს უშლის საკონსტიტუციო თანასწორობას პოლშურისა და გერმანულის ენისას, მეტადრე სკოლებში. ამის გამო კლუბმა უნდა იზრუნოს და დაიცვას პოლშელნი სილეზიაში და კანონიერად დააკმაყოფილოს მათი საეროვნო მოთხოვნილებანიო. პოლშელებისაგან პირველი არ არის, ამ მოკლე დროში, საეროვნო საგნებზედ ლაპარაკის ჩამოგდება სილეზიაში. ამის გამო გერმანელთა მომხრენი ძრიელ ემდურებიან პოლშელებს ამ ბოლოს დროს.

## გასართობი

—

ერთს ავადმყოფს ქალს ექიმმა ზეიდლიცის წყალი გამოუწერა. ავადმყოფი საშინლად დაიღმანჭა.

— მხოლოდ პირველის ჭიქის დალევაა საძნელო, უთხრა ექიმმა.

— მაშ კარგი, პირდაპირ მეორე ჭიქიდგან დავიწყებ სმასაო, უპასუხა ავადმყოფმა.

**

ორნი ძმანი ერთად ისხდნენ: ერთმა უმცროსისკენ გაუწოდა ხელი და ჰკითხა

— ეს არის შენი ძმა?

— არა; მე ვარ მაგისი ძმაო, უპასუხა უმცროსმა.

**

ორს გლეხს კენჭი უყარეს, ჯარში წასაყვანად. უმცროსს მომხრე ბევრი ჰყვანდა, დაჰქრთამეს კენჭის მყრელი, რომ შავი უფროსისათვის ერგუნა. კენჭის მყრელმა შემდეგი ხერხი მოიგონა: ერთ კოლოფში ჩააგდო ორი შავი ბილეთი და უთხრა გლეხებს:

— ვისაც შავი ერგება, ის უნდა წავიდეს ჯარში და მეორე-კი დარჩებაო.

გაიგო ეს ხრიკი მეორე გლეხმა, ჩაჰყო ხელი კოლოფში, ამოიღო ერთი ბილეთი, ჩაიდო პირში და გადაჰყლაპა.

— რასა შვრები შე საძაგელო! დაუყვირა კენჭის მყრელმა. სოფლელმა უპასუხა:

— თუ რომ ჩემ მიერ ჩაყლაპული ბილეთი შავი იყო, მაშასადამე, მეორე თეთრი უნდა იყოს, ჰნახეთ და თუ ეგ ერთი დარჩენილი ბილეთი თეთრი გამოჩნდა, მეტი რა ღონეა, წავალ ჯარში.

ამ ხერხით გლეხმა თავი განითავისუფლა სამხედრო ბეგარისაგან.

## სასამართლოს მატიანე

—

მაისის დამდეგს პეტერბურგის ოლქის სასამართლოში დანიშნულია დიდათ საყურადღებო საქმე. ეს საქმე პეტერბურგსა და მოსკოვში მზადდებოდა და კეთდებოდა. უმთავრესი დამნაშავე არის გრაფი სოლლოგუბი რომელიც ნამდვილი ტიპია პეტერბურგელისა, ტიპი იქაურის მომქმედის და მოჩალიჩესი; მისი მსხვერპლი, აწ მიცვალებული, ვაჭარი გრიბანოვი, სცხოვრებდა მოსკოვში. უეცარმა შემთხვევამ დაამეგობრა გრაფი და მილიონების პატრონი ვაჭარი. ამბობენ, ვითომც პირველი მეორისთვის მფარველი ანგელოზი იყო, ვითომც გრაფ სოლლოგუბმა რამდენჯერმე დაიხსნა გრიბანოვი დალუპვისაგან ხან რიბინსკში, ხან სარატოვში, ხან მოსკოვში. მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ გრიბანოვს თურმე არც-კი უნახავს სოლლოგუბი; ამის მიუხედავად მაინც გრიბანოვმა ფორმალურად უანდერძა გრაფ. სოლლოგუბს რამდენიმე მილიონი. მთლად ეს ამბავი სავსეა გაბედვით შეთხზულის სიცრუვით; საოცარი შემთხვევა ბედნიერს გარემოებას მოსდევს თან მეტად ხშირად და მთავარი ამ საქმისა, გრაფ სოლლოგუბია, რომელმაც ამ 12 წ. წინად პეტერბუგში მდიდარი ცოლი შეირთო, ეს სიმდიდრე ძალიან ჩქარა გაჰფალანგა და დარჩა ცარიელზედ, მაგრამ გრაფი დიდად მოხერხებული კაცი იყო, დიდი ნათესაობა და მრავალი ნაცნობობა ჰყვანდა; ამასთან კარგად სცნობდა ხალხს და მეტად ჩქარა ითვისებდა და უმეგობრდებოდა. ერთ დროს დასავლეთ-სამხრეთისაკენ იყო და მეურნეობდა, შემდეგ ხე-ტყით ვაჭრობდა კავკასიაში, გააკეთა აქ სახერხი ქარხანა, იჯარებს იღებდა, ვაჭრობდა ცხენებით, ვინ იცის, რას არა სჭიდებდა ხელს, ჟურნალის ბეჭდვაც-კი დაიწყო პეტერბურგში „ზარნიცა“. კარგი შესახვედრი კაცი იყო,

---

მოჰკრა ყური თუ არა ამ ამბავს, ანტონია იქვე დაეშვა იატაკზედ ხმაამოუღებლად.

— ქა, მართლა მომკვდარა? ეკითხებოდნენ ერთი მეორეს დედაკაცები.

— მართლა, მაშ ტყუილად სიკვდილი გაგონილა?

— მეც გავიგონე ეს ამბავიო, სთქვა ერთმა დედაკაცმა.

— შენ ვილამ გითხრა?

— ნაცნობმა მედუქნემ.

— იმას ვინ უთხრა?

— კაპიტანის მოსამსახურეს უთქვამს.

— ოჰო, მეტი რა გინდათ? რაღა ეჭვი უნდა ამ ამბის სინამდვილეს? იმასაც ხომ თვით კაპიტანი ეტყოდა.

მართლაც ყველამ დაიჯერა ეს ამბავი; ყველა დარწმუნებული იყო, რომ ავაზაკი განთავისუფლების წინა დღეს გარდაიცვალაო. ანტონიამ თვალები გამოახილა და ცოტა ფერი მოუვიდა. ზღვასავით ცრემლები წამოუვიდა: სიხარულითა სტიროდა და არც არავის აკვირვებდა ეს სიხარული. ან-კი რა საძრახისი იყო სიხარულით ტირილი ამდენის ხნის მწუხარებისა და გულის ხეთქვის შემდეგ. მას შემდეგ, რაც მკვლელობა მოხდა, ანტონია თითქოს ქვად გადიქცა. ერთი ცვარი ცრემლი არ გადმოვარდნია თვალებიდგან, მაგრამ ახლა გული თითქმის მოულბა და ცრემლები გადმოაქცია.

ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა ანტონიამ: თითქოს რაღაც ლოდი მოაცილეს გულიდგანაო. აქ ისე ცხადი იყო განგება უფლისა, რომ ანტონიას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება ეს ამბავი ტყუილი იყოსო.

ამ დღეს ანტონია ჩვეულებრივზედ უფრო გვიან დაბრუნდა სახლში. თავის ფეხით მივიდა სასწავლებელში, ჰნახა თავისი პატარა ვაჟი, უყიდა ცოტა რამ ტკბილეულობა და ნელ-ნელა გამოემგზავრა სახლისაკენ ყმაწვილიანად. თუმც სადილი ჯერ არ ეჭამა, მაგრამ შიმშილს არა ჰგრძნობდა. ხშირად გაჩერდებოდა ხოლმე მაღაზიების წინ და ათვალიერებდა ათას ნაირ ნივთებს. რაღაც სიმშვიდით აევსო გული. მწარე ფიქრმა და სასოწარკვეთილებამ ტკბილ ოცნებას დაუთმო ადგილი.

— ოჰ, რა კარგია, როდესაც კაცი თავისუფლად ჰსუნთქავს და ჰგრძნობს, რომ სიცოცხლე თითქოს ხელ-ახლა უბრუნდება!

ანტონია ისე გაერთო ამ ტკბილ ფიქრებში, რომ ვერც-კი შეამჩნია, რომ იმისი სახლის კარი ღია იყო. შედგა თუ არა ფეხი ვიწრო ოთახში, რომელიც მისთვის საწოლიც იყო, სასადილოც და სასტუმროც, ძლიერ გაუკვირდა, რომ კედლის ლამპარი ანთებული იყო. ვიღაც შავად შემოსილი კაცი წამოდგა ლოგინიდგან და წინ აეტუზა. ანტონიამ ყვირილი დააპირა, მაგრამ პირი ღია დარჩა და ხმა-კი აღარა ჰქონდა. გაქვავებული იდგა ერთს ადგილას.

ის იყო!.. ანტონია ისევ ისე იდგა უძრავად ენა ჩავარდნილი და მხოლოდ თვალში აღბეჭდოდა საშინელი შიში.

— რაო, ვგონებ, არ მომელოდი? სთქვა მან მკაცრად, მაგრამ ისე-კი, რომ სიბრაზე არ ეტყობოდა.

ამ ხმაზედ საბრალო ქალი გონს მოვიდა, ერთი შეჰყვირა, სტაცა ბავშვს ხელი და კარებისაკენ გაეშურა, მაგრამ ქმარი გზაზედ გადაეღობა.

— ე, ეჰ, ეჰ, ეჰ! სად მიბრძანდებით, ქალბატონო? შეეკითხა ისეთის კილოთი და ღრეჭით, როგორც იციან ხოლმე კატორგაში ნამყოფებმა. ის ხომ არ გინდა, რომ მთელი უბანი დააფეთიანო ამ დროს? ხმა გაიკმინდე!

თუმცა ამ სიტყვებში მუქარა არ ისმოდა, მაგრამ ისეთ ნაირად იყო ნათქვამი, რომ ანტონიას სისხლი გაეყინა ძარღვებში; სიმწრის ოფლმა დაასხა, მაგრამ თანდათან ძალა შემოიკრიბა; თავის დაცვის გრძნობა გაეღვიძა. ერთმა აზრმა გაუელვა თავში: სტაცა ბავშვს ხელი, აიყვანა და ქმარს მიაწოდა. იმას ჯერ არ ენახა თავისი შვილი. რაც უნდა იყოს, მაინც მამა იყო და, ვინ იცის, იქნება, ცოტა გული მოლბობოდა!

— აჰა, ესაა შენი ბელარტი? წაიბუტბუტა პატიმარმა. ჩამოიღო ლამპარი კედლიდგან და მიანათა ბავშვს თვალებში. ყმაწვილმა ნამეტანის სინათლისაგან თვალები დახუჭა, დაიჭყანა და პირზედ ხელები მიიფარა, თითქოს თავს იფარავს იმ კაცისაგანაო, რომლის ხსენებაზედ წყევლა-კრულვის მეტი არა წარმოითქმებოდა-რა. ის დედისაკენ მიიწევდა და დედაც მაგრად იკრავდა გულში თავის მტირალსა და შეშინებულს შვილს.

— რა საძაგელი ბავშვი ყოფილაო! სთქვა ავაზაკმა და დაჰკიდა ლამპარი: რას დაჰლეჭებულა ასე თითქოს კუდიანებს ამოუწუწნიათ გულიო!

ანტონია, გაფითრებული და ათრთოლებული, კედელზე იყო აყუდებული, ყმაწვილი ხელში ეჭირა და ფეხებს მიწაზე ველარ იმაგრებდა. ოთახი ტრიალებდა იმის თვალებში.

— საჭმელი ხომ არაფერი გაქვს? იკითხა პატიმარმა.

ანტონიამ ყმაწვილი დასვა და ათრთოლებულის ხელებით სუფრა გაშალა. გააღო განჯინა და გამოიღო ერთი ბოთლი ღვინო და პური. ბუხრიდგან ერთი ტაფა თევზი ამოალაგა და სუფრაზე დააწყო. რაღაც გაფაციცებით ემსახურებოდა ანტონია თავის ქმარს, უნდოდა გული მოეგო და მოელბო.

ავაზაკი მოუჯდა სუფრას და ზედიზედ ილროდა პირში დიდრონს ლუკმებს, თითქოს ეშინოდა, არავინ წამართოსო. ყოველ ლუკმას ღვინოს დააყოლებდა. ანტონია ისევ ერთ ალაგას იდგა და არ აშორებდა თვალს იმის მზისაგან დამწვარსა და მოპარსულს პირს, რომელზედაც კატორგას თავის ბეჭედი დაესვა. ერთი ჭიქა ღვინო კიდევ დალია და მერე თავის ცოლს დაუსხა! „არ მინდაო“ ძლივს უთხრა ანტონიამ. ლამპარის სინათლეზე ანტონიას ისე ეჩვენებოდა, თითქო ჭიქაში ღვინის მაგიერ სისხლი იდგა. ავაზაკმა გაკვირვების ნიშნად მხრები ასწია და თითონ დალია ღვინო.

ერთმა ფიქრმა გაურბინა ანტონიას თავში «იქნება გაძღეს და წავიდეს. მაშინ, ჩავიკეტები, ყვირილს მოვრთავ, მეზობლები გაიგონებენ და მომეშველებიანო“.

მხოლოდ ერთი რამ აშინებდა „ვაი, თუ ხმამ მიმტყუნოს და ველარ დავიყვიროო“. ჩაახველა, რომ ხმა გაეწმინდა. ქმარმა-კი როგორც გაათავა ჭამა, ჯიბიდგან სიგარა ამოიღო, მოჰგლიჯა წვერი დინჯად და მოუკიდა. ანტონიამ ეს რომ შენიშნა, უკანასკნელს საშუალებას დაადგა. გაპარვა მოინდომა, მაგრამ ქმარმა შეატყო, რომ კარებისკენ მიიწევდა, და მკაცრად დაუყვირა:

— სად მიდიხარ?

— წავალ, ყმაწვილს დავაწვენ მეორე ოთახშიო, მიუგო ანტონიამ და თან ყმაწვილს წამოატანა ხელი.

მაგრამ მეტად განუვითარებელი გონება ჰქონდა. როცა ამ ფანტაზიებმა აღარა უშველეს-რა, გრაფ სოლლოგუბი უეცრად გაჰქრა პეტერბურგიდგან და მხოლოდ შარშან ცხოვრების ტალღებმა გამორიყა მოსკოვში ვაჭარ გრიბანოვის ანდერძით ხელში. მარტო თვითონ არ იყო ბრალდებული; მასთან ერთად იყვნენ ორი მისი სანდო კაცი – საფრანგეთის მოქალაქე დაბო და 50 წლის შტაბს-კაპიტნის შვილი ტუპიცინი. დიბოს მამას მოსკოვში ქარხანა ჰქონოდა და სიკდილისვ შემდეგ შვილისთვის კარგი შეძლება დაეტოვებინა. შვილმა მოსკოვში ბოშა ქალი შეირთო და მთლად გაფლანგა, რაც ებადა. დაბო დაუმეგობრდა სოლლოგუბს, დასტოვა სამუდამოდ ბოშები და უეცრად ტეხნიკი შეიქმნა, ასე რომ კავკასიაში სოლლოგუბის სახერხ ქარხნის გამგეთ იყო; ამანვე უშველა და მოუხერხა გრიბანოვის ანდერძის საქმე სოლლოგუბს. უმთავრესს რეჟისორად კი ამ საქმისა იყო „ოქროს კაცი“, რომელიც დაბომ გამოჰნახა შვილი შტაბს კაპიტანისა ტუპიცინი. ეს ტუპიცინი იურისტი იყო და ანდერძის შესადგენად ამათაც ის მოიწვიეს. მართლაც ძალიან ნიჭიერი რეჟისორი გამოდგა: მთელ ამ მემკვიდრეობის საქმეს ეს ატრიალებდა, მოწმენიც-კი სულ ჰლექიანები იშოვა, რომელთაც დრომდის იცოცხლეს და თავის დროზედ დაიხოცნენ. ამათ გარდა აფიშაში უკანასკნელად მოხსენებული იყო მოსკოვის ნოტარიუსად ყოფილი ჩიკოლინი, რომელსაც თავის კანტორაში ჰქონდა შენახული გრიბანოვის ანდერძი და ერთიც ნაფიცი ვექილი ფიშერი, ყმაწვილი-კაცი, უფრო სახელ განთქმული ჟონ-პრემიე ვიდრე როგორც ადვოკატი. მოწმეთა რიცხვი ამ საქმეში 120 მდეა.

# დეპეშა

30 აპრილი

**პეტერბურგი.** პეტერბურგში 6 მაისს იქნება საზოგადო კრება ლიტერატორთა ურთიერთის დახმარების კასსისა; განხილულ იქმნება ის, თუ რაოდენი გამოერიცხოთ მწერალთ კუთვნილ გასამრჯელოდამ და რაოდენი უნდა გადასდონ გამომცემლებმა პენსიის ფონდისათვის. ვისაც სურს კასსის წევრად ჩაეწეროს, უნდა ამ ადრესით გაჰგზავნოს ქაღალდი: Петербургъ, Бассейная, 20, Градовскому.

**სოფია.** ბოლგარიის ეგზარხოსმა დანიშნა ეპისკოპოსები ახლად დაწესებულ ეპარქიებისათვის მაკედონიაში.

**ლონდონი.** ბაუსტრიტის სასამართლომ გადასწყვიტა, ანარქისტი მენიე მიეცეს თავის მთავრობასო. მენიეს უნდა აპელაცია გადაიტანოს.

**ვენა.** ავსტრიის პარლამენტმა არ შეიწყნარა სარჩიელი, რომ გადადებულიყო განხილვა იმ პროექტისა, რომელიც შეეხება 200 მილიონის გულდენის სახელმწიფო ბილეთების გაბათილებას.

პოლშელების ოსტრაუში გაფიცვა ქვა-ნახშირის მადნების მუშებ შორის უფრო ძლიერდება. მსხვერპლნი უკანასკნელის ამბოხებისა დამარხულ იქმნენ მხედრობის დარაჯობით; დასაფლავების დღეს ჰმალავდნენ. ეშინოდათ, რომ დიდ-ძალს ხალხს არ მოეყარა თავი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბეკეგემმა მიიღო გუშინ დეპუტაცია გაფიცულთა, რომელთაც საჩივარი გაუგზავნიათ ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენლებზე.

**ბუდა-პეშტი.** სულთ-მოფენობის შემდეგ დეპუტატთა პალატა ერთხელ კიდევ შეუდგება სამოქალაქო ქორწინების კანონის განხილვას. თანაგრძნობა პალატისა ამ კანონის მიერ თანდათან უფრო ძლიერდება.

**პარისი** დღეს სადამოს კლებერის ქუჩაზედ ანარქისტებმა ააფეთქეს ქარხნის პატრონის მასინგის სახლი, რომელსაც ცალკე შესავალი კარი აქვს. დაიმტვრა კარებიცა და ფანჯრების შუშებიცა. აფეთქების მომქმედი ჯერ არ აღმოუჩენიათ, თუმცა ორი კაცია დაპატიმრებული. საფიქრებელი არ არის, რომ ვითომ შურის ძიების მიზეზით იყოს ჩადენილი ეს ბოროტ მოქმედება; შესაძლოა ანარქისტებს სახეში ჰყვანდათ მთავარი პროკურორი მორეპერი, რადგან ისიც ამ ქუჩაზედ სდგას.

1 მაისი

**პეტერბურგი.** დიდს მთავრინა ეკატერინე მიხეილის ასულს, რომელიც შარშან ივლისში ინფლუენცათი გახდა ავად, ამ ჟამად გულის სისუსტე აქვს; ინფლუენცამ მეორედ შეიქცია და ამის გამო გულის სისუსტემაც უმატა, ავადმყოფი ძალიან დასუსტებულია.

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ეკატერინე მიხეილის ასული გარდაიცვალა 30 აპრილს, ღამის 11 საათსა 45 წუთზედ.

2 მაისი

**პეტერბურგი.** უმთავრესნი მოგებანი დღევანდელის ტირაჟით ჰხვდა შემდეგს ბილეთებს სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისას:

| №№ სერიებისა | №№ ბილეთებისა | რაოდენობა მოგებისა |
|---|---|---|
| 15,710 | 37 | 200,000 |
| 11,305 | 8 | 75,000 |
| 5,712 | 48 | 40,000 |
| 829 | 44 | 25,000 |
| 5,927 | 21 | 10,000 |
| 12,365 | 23 | 10,000 |
| 812 | 36 | 10,000 |
| 13,836 | 25 | 8,000 |
| 14,914 | 25 | 8,000 |
| 9,588 | 12 | 8,000 |
| 910 | 34 | 8,000 |
| 7,443 | 44 | 8,000 |
| 2,799 | 4 | 5,000 |
| 4,506 | 27 | 5,000 |
| 3,087 | 47 | 5,000 |
| 2,902 | 13 | 5,000 |
| 9,449 | 28 | 5,000 |
| 9,720 | 15 | 5,000 |
| 13,966 | 8 | 5,000 |
| 5,209 | 16 | 5,000 |
| 6,010 | 31 | 1,000 |
| 7,381 | 46 | 1,000 |
| 6,045 | 37 | 1,000 |
| 3,951 | 44 | 1,000 |
| 9,359 | 9 | 1,000 |
| 7,214 | 19 | 1,000 |
| 7,639 | 46 | 1,000 |
| 1,633 | 7 | 1,000 |
| 8,868 | 5 | 1,000 |
| 13,829 | 50 | 1,000 |
| 10,026 | 15 | 1,000 |
| 3,773 | 21 | 1,000 |
| 1,901 | 2 | 1,000 |
| 13,723 | 26 | 1,000 |
| 4,328 | 49 | 1,000 |
| 10,281 | 9 | 1,000 |
| 4,816 | 26 | 1,000 |
| 11,842 | 32 | 1,000 |
| 2,306 | 12 | 1,000 |
| 10,384 | 17 | 1,000 |

პეტერბურგის ბირჟა, 29 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,45}$ | $7_{,43}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 148³/₄ | 149¹/₂ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 245 | — ,, | — ,, |
| —მეორისა | 224 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | 192¹/₂ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

აქ-კი ვერ გაჰბედავს შემოსვლას, ან როგორ შემოვა? ეს ის ოთახი, არ არის სადაც დედაჩემი მოკლა? ნუ თუ სინიდისი ნებას მისცემს აქ შემოვიდეს?

უწინ ამ ოთახში იწვნენ ცოლქმარნი, მაგრამ გაჭირვებამ გააყიდვინა ანტონიას თავისი საწოლი და ეხლა დედის საწოლზედ წვებოდა ყმაწვილიანად. ანტონია სრულიად დარწმუნდა, რომ ამ ოთახში ის უშიშარი იყო და დაუწყო ყმაწვილს ტანისამოსის ხდა. ამ დროს გაიღო კარი და ისიც შევიდა. ანტონიამ შენიშნა რომ ქმარმა წარბ-შეჭმუხვნით გადაავლო თვალი ოთახს და მერე, თითქოს აქ არაფერიაო, წყნარად გაიხადა ფეხი, ტანთ გაიძრო და არხეინად წამოწვა სწორეთ იმ საწოლზედ, რომელზედაც ის საზიზღარი საქმე ჩაიდინა.

ანტონიას ეგონა, სიზმარში ვარო. ამოღებული ხანჯალი მეტად ვერ შეაშინებდა ასე. ის კი იზმორებოდა და იზლაზნებოდა ლოგინზედ, როგორც დაღალული კაცი, რომელიც რაღაც სხვა ნაირის სიამოვნებით წვება სუფთად დაგებულს ქვეშ საგებში.

— რას გაჩერებულხარ ხესავით? შეჰყვირა ცოლს; დაწექი რაღა!

— არ მეძინება... წაიბუტბუტა ყმაწვილმა ქალმა კანკალით.

— მაშ ეგრე უნდა იდგე მთელს ღამეს დარაჯსავით?“

— არა მიშავს-რა.. შენ დაიძინე... მე აქ როგორმე.... ნუ სწუხარ....!

— ეს რას ჰნიშნავს!- გეშინიანთუ გეზიზღები. ამ წამში დაწექი, თორემ.... შეადგინა და წამოჯდა ლოგინზედ თითქოს ეს ესარი წამოხტებაო. მაგრამ ანტონია უკვე იძრობდა ტანისამოსს. საოცარის აჩქარებით იგლეჯდა ღილებს და იხსნიდა კაბისა და იუბკის ზონრებს. იქით ნელის ხ ით სტიროდა ყმაწვილი...

დილა ადრიან მეზობლებს ბავშვის ჩხავილი შეესმათ. მიირბინეს და ანტონია ლოგინზედ იპოვეს უსულოდ გაშოტილი, თითქოს მკვდარიაო. მაშინვე ექიმი მოიყვანეს. ექიმმა სთქვა, რომ ჯერ ცოცხალიაო, და ნეშტარი ჰკრა, მაგრამ ერთი წვეთი სისხლიც კი არ გადმოსდენია საბრალოს. ოც-და-ოთხს საათს კიდევ იცოცხლა და განუტევა თავისი ტანჯული სული.

სიკვდილი ნაძალადევი არ იყო, რადგანაც არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა მიცვალებულს ტანზედ. ყმაწვილმა ყველას უამბო, რომ იმ კაცმა, რომელმაც აქ ღამე გაათია, დილას ბევრი უძახა დედას, ბევრი ალვიძა, მაგრამ ხმა რომ ვერ ამოაღებინა, უცბად ჩაიცვა და სადღაც გაიქცაო.

სალო მინაოელი


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი,—11¹/₂—12¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12¹/₂—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 5 მაისს ამა წლისას დაიწყება ბაზრობა ცხენთა გასაყიდად დოლის მინდორზედ დიდუბეში. ბაზრობა გასტანს 14 დღეს. დაწვრილებით ყოველივე გარემოება სააფიშო სვეტებზეა გამოცხადებული. (2—1)

**ყვავილის აცრელი ექიმი პროზოროვსკი** სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად. (12—4)

**„ქართული თეატრის არტისტების მოგზაურობა“**

ტფილისის ქართულ თეატრის ამხანაგობა
კალერ. გუნიას გამგეობით
გამართავს რამდენსამე წარმოდგენას
1 მაისიდგან
ქალ. ფოთსა და ბათომში.

დასს შეადგენენ: კნ. ბარბარე ავალიშვილისა, ბარბარე მაქსიმიძისა, ნატ. რჩეულიშვილისა, ბ-ნნი კონ. ყიფიანი, ვლად. ალექსივ-მესხიშვილი ვასილ აბაშიძე, ვალ. გუნია, სვიმ. სვიმონიძე კონსტ. შათირიშვილი, გრიგ. აბაშიძე, კონსტ. გალუსტოვი, ალექს. თამაზიშვილი და სხვანი.

რეპერტუარი: და-მმა ისტ. დრამა მეგრელთ ცხოვრებიდგან 5 მოქ. ვალ. გუნიასი, გამწარებული ცხოვრება კომ. 4 მოქ. გადმოკ. ივ. კერესელიძისაგან, სტუმარი დრამა 4 მოქ. ბრანდესისა, ცხოვრება დრამ. სურათები 2 მოქმედ. ვ. გუნიასი, ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში, კომ. ფარსი 3 მოქმედ. გიორგი აბაზაძისა, შეშლილია დრ. 3 მოქ. თარგ. აბაშიძისა, კაის გაკეყარე კუის შეკეყარე ფარსი 3 მოქ. ვოდევილები: ხოლკერობა, ახირებულია, დატრიალდა ჯარა, არც აქეთ არც იქით, და სხვა.

ადგილების ფასი 3 მან. მოყოლებული ვიდრე 50 კაპეიკამდე“.

ბილეთების მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ ამხანაგობის ხაზინადარს თავ. ნიკ. დავ. აბაშიძეს.

ამხანაგობის გამგებელი ვალ. გუნია
(5—2)

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

დაიბეჭდა და ისყიდება
ქ. ტფილისში
გამ. ბ-ნ ზაქ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.
„კრებული
არითმეტიკის ამოცანებისა“.
შედგ. ა. ნატროშვილის-მიერ.

ეს წიგნი მოწონებულ იქმნა, როგორც სახელმძღვანელო, უწმინდესის სინოდისაგან და აგრეთვე სამოსწავლო საერო მთავრობისაგან.

ფასი 35 კაპ.

ხოლო ვინც, ნაღდს ფულზედ, ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა 30 კაპეიკად. (5—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 2-го Мая 1894 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.